ოქმი:**ო03.37210561**

თარიღი:**25/02/2021**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2021 წელი, 24 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გ. ჩაგანავა - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ბერიძე, ალ. ღლონტი, გ. ჩავლეშვილი, მ. ბერიძე, ბ. თოიძე, ტ. არუშიძე, მ. ზოიძე, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩაგანავამ მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, აღნიშნა, რომ წინა წელთან შედარებით შეტანილია მცირეოდენი ცვლილებები, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გასწორებული იქნა ტექნიკური შეცდომები, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების პროექტი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული

ფასის დადგენის შესახებ“ წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გიორგი ჩაგანავა

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი